

**კონკურსი  
საია-ს თბილისის ოფისის იურიდიული  
დახმარების ცენტრში სტაჟიორთა  
მისაღებად**

**კონკურსი საია-ს თბილისის ოფისის  
იურიდიული დახმარების ცენტრში  
ანაზღაურების გარეშე  
თანაშემწეთა/სტაჟიორთა მისაღებად**

**სამუშაო ადგილი:** თბილისი

**სამუშაო დატვირთვა:** არასრული

**განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა:** 2019 წლის 5 სექტემბერი

იურიდიული დახმარების ცენტრში თანაშემწედ/სტაჟიორად ყოფნა გულისხმობს, როგორც წესი, 8 თვიანი კურსის გავლას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

კონკურსი მიმდინარეობს როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. კონკურსის შედეგად სისხლის სამართლის მიმართულებით შეირჩევა არაუმეტეს 7, ხოლო სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით - არაუმეტეს 20 პირი. კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატები საქმიანობას შეუდგებიან 2019 წლის

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ოქტომბრიდან.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იურიდიული ფაკულტეტის/საერთაშორისო სამართლის ბაკალავრიატის მე-3 და ზედა კურსის სტუდენტებს ან კურსდამთავრებულებს.

## **თანაშემნეებს/სტაჟიორების ფუნქციებში ძირითადად შედის:**

- იურიდიულ დახმარების ცენტრში მოქალაქეებისაგან შემოსული კითხვა-პასუხების ელექტრონულ პროგრამაში ასახვა და პირად/სატელეფონო კონსულტაციებზე დასწრება;
- სარჩელების, განცხადებებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში ადვოკატების დახმარება;
- საკანონმდებლო სიახლეებზე მუშაობა;
- კონკრეტულ საკითხებზე სასამართლო პრაქტიკის მოძიება და გაანალიზება;
- ბუკლეტების შედგენისას იურისტების დახმარება.

კონკურსის შედეგად შერჩეულ პირებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება თანაშემნეთა/სტაჟიორთა უფლება-მოვალეობები.

## **კონკურსის ეტაპები**

კონკურსი მიმდინარეობს ორ ეტაპად:

კონკურსის პირველ ეტაპზე (წერთი გამოცდა) - დაშვებული იქნება კანდიდატი, რომელიც სრულყოფილად გამოაგზავნის შესაბამის დოკუმენტებს. წერთი გამოცდაზე კონკურსში მონაწილეებს ევალებათ ვაზუსტონ ამოხსნა სამოქალაქო/ადმინისტრაციული და სისხლის სამართლიდან, განაცხადში მონაწილის მიერ მითითებული სფეროს მიხედვით.

კონკურსის მეორე ეტაპზე (გასაუბრება) - დაშვებული იქნება ის კანდიდატი, რომელიც წარმატებით გადალახავს პირველ ეტაპს.

## **განაცხადების მიღება**

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ელექტრონულ მეილზე - [info@gyla.ge](mailto:info@gyla.ge) უნდა

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



გამოგზავნოს:

**განაცხადი**

- იურისტის დიპლომი ან შესაბამის კურსზე სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დასკანერებული სახით).

გთხოვთ, მეილის "subject" ველში მიუთითოთ თქვენთვის სასურველი სამართლის სფერო („სისხლის სამართალი“ ან „სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი“).

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2019 წლის 5 სექტემბერი, ღამის 12 საათი. იმ მონაწილეებთან, რომლებიც ხარვეზით გამოგზავნიან დოკუმენტებს, დამატებით დაკავშირება ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით არ მოხდება. ამდენად, არასრულყოფილად წარმოდგენილი ან დაგვიანებით გამოგზავნილი განაცხადები არ იქნება განხილული.

წერიტი გამოცდისა და გასაუბრების თარიღები, ასევე კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება საიტზე - [www.gyla.ge](http://www.gyla.ge)

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი - ნინო ქათამაძე (19-27 აგვისტო), მარიკა დუმბაძე (29 აგვისტო - 5 სექტემბერი).

მისამართი: თბილისი, ჭანსუდ კახიძის ქ. N15

ტელ: (032) 2 93 61 01 (150/147)